

კორპორაციულ სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება  
რეორგანიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე კაპიტალური ტიპის  
საზოგადოებებში

(შედარებით სამართლებრივი კვლევა აშშ-სა და საქართველოს  
მაგალითზე)

ქეთევან მესხი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ქეთევან მესხი

21.06.2021 წელი

## აბსტრაქტი

რეორგანიზაცია საკორპორაციო სამართლისა და კორპორაციული ურთიერთობების მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ის სამართლებრივი ურთიერთობების ჯაჭვი, რომელიც ტრანზაქციის განმახორციელებელი პირების, მათ უფლება-მოვალეობებსა და ტრანზაქციის დასრულების შემდგომ კორპორაციის სამართალ-სუბიექტობას მოსდევს. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მუდმივად ხდებოდეს სამეწარმეო ბაზრის განვითარება, რაშიც უდიდესი წვლილი კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას მიუძღვის. მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 1994 წლის რედაქციაც კი ითვალისწინებდა რეორგანიზაციის განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოში მისი გამოყენების მცირე პრაქტიკაა, რაც კანონმდებლობის ხარვეზის ქმნილებად შეიძლება მივიჩნიოთ.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება რეორგანიზაციის კონცეპტუალური არსი და მისი მნიშვნელობა თანამდეროვე საკორპორაციო სამართალში. მიმოხილული იქნება ის კორპორაციულ სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები, რომლებიც კორპორაციის საუკეთესო ინტერესების განხორციელების საწინდარია, თუმცა, კომპანიის საუკეთესო ინტერესები შეფასების საკითხია და შესაძლოა განსხვავდებოდეს აქციონერებისა და დირექტორატის პოზიციები. ნაშრომში ასევე მიმოხილული იქნება ის სტანდარტი, რომელიც ბორდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალმოსილების შეფასების საფუძვლად იქცა და დამკვიდრდა, როგორც „იუნიკალისა“ და „რევილონის“ ტესტები.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს რეორგანიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ორ მიზანს ემსახურება: 1. მოახდინოს კორპორაციათა დაცვა არასასურველი შექმნისგან; და 2. დაიცვას რეორგანიზაციის ხელშეკრულება მესამე პირების ჩარევისაგან, რომელთაც არ სურთ კონკურენტი კორპორაციების მიერ ტრანზაქციის განხორციელება და ამით სამრეწველო სფეროს გაფართოება. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომში მოხდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა, რომელიც

შედარებული იქნება, როგორც მოქმედ კანონმდებლობასთან, ასევე პარალელები გაივლება ამერიკის, კერძოდ, დელავერის შტატში არსებულ სამართლებრივ რეგულირებასთან, ასევე მოხდება მისი პრაქტიკული და სამართლებრივი მნიშვნელობის დადგენა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** რეორგანიზაცია, კორპორაციულ სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები, M&A, ინტერესთა კონფლიქტი, სამეწარმეო განსჯის წესი, Due Diligence, განზრახულობათა ოქმი, Break Up Fee, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, სრული სამართლიანობის ტესტი, იუნიკალის ტესტი, რეველონის ტესტი.

## Abstract

Reorganization is an important part of corporate law and corporate relations, accompanied by a chain of legal relations that follows the persons conducting the transaction, their rights and obligations, and the legal entity of the corporation after the completion of the transaction. It is important that the entrepreneurial market is constantly evolving in the country, to which the greatest contribution is made by legislation and case law. Although even the 1994 version of the Law of Georgia on Entrepreneurs provided the possibility of reorganization, in this regard there is a little practice in Georgia, which can be considered as an error in the legislation.

This paper discusses the conceptual essence of reorganization and its significance in modern corporate law. We review corporate legal protection measures that are a prerequisite for pursuing the best interests of the corporation, however, the best interests of the company are a matter of valuation and the positions of shareholders and directors may differ. The paper also reviews the standard that became the basis for assessing the validity of the decision made by the Board and established as the "Unocal" and "Revlon" tests.

The aim of the paper is to implement corporate-legal defense measures based on the reorganization agreement, which serves two purposes: 1. Protect corporations from undesirable acquisitions; and 2. Protect the reorganization agreement from the interference of third parties who do not wish to carry out the transaction by competitor corporations and thus expanding the industrial sphere. It should be noted that this paper discusses the draft law of Georgia on entrepreneurs, which will be compared with the current legislation, as well as parallels will be drawn with the existing legal regulation in the United States, in particular, in the state of Delaware, as well as its practical and legal significance will be determined.

**Key words:** Reorganization, Corporate Legal Defense Measures, M&A, Conflict of Interests, Business Judgment Rule, Due Diligence, Letter of Intent, Break Up Fee, Draft Law of Georgia on Entrepreneurs, Make an informed decision, Entire Fairness Test, Unocal Test, Revlon Test.